სოფელ კაცხში ხარატიშვილების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 150 მეტრი.

სოფელ დიდ კაცხში ცივი კუთხის (2 მონაკვეთზე) უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 140 მეტრი.

სოფელ დიდ კაცხში კუპატაძეების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 120 მეტრი.

სოფელ დიდ კაცხში ბაზლაძეების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 120 მეტრი.

სოფელ დიდ კაცხში სვეტის უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 120 მეტრი.

სოფელ ნავარძეთში გერმანიკიშვილების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები



სოფელ ქვედა ბერეთისაში ქვედა კვიჟინაძეების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 300 მეტრი.

სოფელ ქვედა ბერეთისაში ზედა კვიჟინაძეების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 250 მეტრი.

სოფელ ქვედა ბერეთისაში გაჩეჩილაძეების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 150 მეტრი.

სოფელი მერევში ეკლესია-სკოლის საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 500 მეტრი.

სოფელ გუნდაეთში ჯაფარიძეების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 350 მეტრი.

სოფელ გუნდაეთში სკოლის საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 100 მეტრი.

სოფელ მანდაეთში ივანაშვილები-კობიები-ლულუები-მჭედლების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 100 მეტრი.

სოფელ მანდაეთში სასაფლაოსთან მისასვლელ საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 100 მეტრი.

სოფელ მანდაეთში ციციძეების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 100 მეტრი.

სოფელ მანდაეთში ზედვაკის უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 200 მეტრი.

სოფელ მანდაეთში გელაშვილების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 200 მეტრი.

სოფელ ქბილარში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 200 მეტრი.

სოფელ მეჩხეთურში ცენტრალური გზის ბოგირი დელეს უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 200 მეტრი.

სოფელ მეჩხეთურში ცხემლარის სერის უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 100 მეტრი.

სოფელ მეჩხეთურში ცენტრალური გზის დუმალის მონაკვეთის უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 150 მეტრი.

სოფელ ტყემლოვანის სკოლასთან მისასვლელი საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 200 მეტრი.

სოფელ მეჩხეთურის ცენტრალური გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 200 მეტრი.

სოფელ ვაჭევში ცენტრალურ სასაფლაომდე მისასვლელი საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 200 მეტრი.

სოფელ ვაჭევში ჩიტიაშვილების უბანში საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 150 მეტრი.



დაახლოებით 150 მეტრი.

სოფელ მორძგვეთის საავტომობილო გზის თანადაფინანსება

სოფელ ითხვისის გზის რეაბილიტაცია;

წასრი-ბეგიაურის დამაკავშირებელ გზაზე სანიაღვრე არხის მოწყობა.

აგრეთვე დაგეგმილია: მოაჯირის მოწყობა ერისთავის ქუჩიდან (სასულიერო სკოლის ასახვევი) მშრალ ხიდამდე და ერისთავის ქ. №2 საცხოვრებელ სახლამდე, სულ 262 გრძივი მეტრი;

მოაჯირის მოწყობა ერისთავის ქუჩის შესახვევიდან თავისუფლების ქუჩამდე, სულ 22 გრძივი მეტრი;

მოაჯირის მოწყობა ტყაბლაძის ქუჩა №12 მიმდებარედ, სულ 18 გრძივი მეტრი;

მოაჯირის მოწყობა ქუთაისის ქუჩა №48 მოპირდაპირე მხარეს ნინოშვილის ქუჩაზე ჩასასვლელ კიბეებამდე, სულ 35 გრძივი მეტრი;

მოაჯირის მოწყობა ქუთაისის ქუჩაზე №12-სა და №13 შორის, სულ 10 გრძივი მეტრი;

მოსაცდელის პროექტირება;

სოფელ მორძგვეთში კაპანაძეები-ლელის უბანში 150 გრძ. მეტრის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;

სოფელ ითხვისში ვარდანას უბანში 1100 გრძ. მეტრის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;

სოფელ წასრში ცენტრალური გზის ორმულები მოწყობის სამუშაოები;

სოფელ წასრში სასაფლაოსკენ (ხის ეკლესიისკენ) მიმავალი გზის 700 გრძ. მეტრის და გზის ბოლოს მოედნის 450 გრძ. მეტრის მოწყობის სამუშაოები;

სოფელ წასრში 190 გრძ. მეტრის სანიაღვრე არხის (ორ ლოკაციაზე) მოწყობის სამუშაოები;

სოფელ კაცხისა და სოფელ ქვედა სალიეთის ჩასასვლელი გზის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;

სოფელ კაცხის ორ მონაკვეთზე დაახლოებით 4500 გრძ. მეტრის გზის მოწყობის სამუშაოები;

ზოდი-ზედუბნის დამაკავშირებელი გზის დაახლოებით 7000 გრძივი მეტრის გზის მოწყობის სამუშაოები;

სოფელ რგანში მენაფრეების უბანში ეკლესიამდე მისასვლელი გზის დაახლოებით 800 გრძ. მეტრის გზის მოწყობის სამუშაოები;

ნიკოპოლის ქუჩაზე მდინარე „ყვირილას“ გასწვრივ ტროტუარის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

ზედა ნაგუთში წრის რეაბილიტაცია და შემოღობვა;

განხორციელდება არსებული გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯების თანადაფინანსება (საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე):

ა)ჭიათურა - სოფელ ხვაშითის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა;

ბ) ქვაციხის -გზატკეცილი სოფელ ვაჭივის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა;



გ) საჩხერის გზატკეცილი-სოფელ მღვიმევის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა;

დ) ჭიათურა-სოფელ მორბგეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა;

ე) ჭიათურა-სოფელ დარკვეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა.

დაგეგმილია საქართველოს მთავრობის მაღალმთიანი განვითარების ფონდიდან 2019 წლის 18 ივლისის №1663 განკარგულებით ტყემლოვანა ჩხირაულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

1.1.2. მილსადენი და სხვა სახის სპეციალური ტრანსპორტი (პროგრამული კოდი 03 01 03)

ვინაიდან ჭიათურა წარმოადგენს მთა-გორიან ადგილს, მოსახლეობის გადაადგილებისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს საბაგირო გზა. საბაგირო გზის რეაბილიტაციის დასრულებამდე შპს „ჭიათურბაგიროგზები“ უზრუნველყოფს საბაგირო გზის მიმართულებით მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურებას ავტოტრანსპორტით.

1.1.3 ხიდებისა და მოაჯირების მშენებლობა, რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 04)

აღნიშნული პროგრამით დაგეგმილია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ხიდებისა და საფეხმავლო გადასასვლელების სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება შემდეგ მისამართებზე:

ა) ტოლსტოის ქუჩაზე გადასასვლელი ხიდი;

ბ) მაღაროელთა მოედანზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდი;

გ) ყოფილ კინოთეატრთან გადასასვლელი საფეხმავლო ხიდი;

დ) პირველის სკოლიდან თხელიძის ქუჩაზე გადასასვლელი საფეხმავლო ხიდი;

ე) ნიკოპოლის ქუჩაზე (საგუბართან) არსებული საავტომობილო ხიდი;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- სატრანსპორტო საშუალებით მგზავრობისათვის საჭირო დროის შემცირება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურებით კმაყოფილების დონის ზრდა;
- სატრანსპორტო საშუალებით მგზავრობის შემცირებული დრო;

1.1.4 საავტომობილო ტრანსპორტის დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 01 04)

აღნიშნული პროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია მოვლა შენახვა.

მოსალოდნელი შედეგები:

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის გამართვა.

1.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის დასაბუთება არსებული სიჭკუაიდან გამომდინარე



მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსამედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, ამიტომ აუცილებელია მოსახლეობის მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა. ჭიათურის მუნიციპალიტეტის რელიეფიდან და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე (დიდთოვლობა) მნიშვნელოვანი ხდება ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მარლით დამუშავება და ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ ერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარებისა და საერთო საკუთრებაში არსებული ქონების მოვლა პატრონობა; ქუჩების და დასახლებების იერსახის და მოქალაქეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესობა.

ჭიათურის მთა-გორიანი მდებარეობის გამო მოსახლეთა ტერასული დასახლებიდან გამომდინარე საყრდენი კედლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საცხოვრებელი თუ ინფრასტრუქტურული ობიექტების შეკავებისათვის, რომელთა გარკვეული ნაწილი დღეისათვის ავარიულ მდგომარეობაშია. აუცილებელი ხდება მათი მოწყობა და რეაბილიტაცია.

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს განათებული ქუჩები, ამისათვის აუცილებელია გარე განათების ქსელის გაფართოება და არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა, არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, განხორციელდება საყრდენი კედლის აღდგენა და საბინაო ამხანაგობების დაფინანსება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარლით დამუშავება და ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა.

1.2.1. წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოფელ ბიდის (ზედა უბანი), სოფელ ჭილოვანის, სოფელ წინსოფელის, სოფელ სკინდორის, სოფელ ცხრუკვეთის, მერევის, მანდაეთის, გუნდაეთის და სოფელ მორძვეთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ ბერეთისაში ეკლესიის უბანში წყლის მაგისტრალის და ქსელის მოწყობა, სოფელ ნავარძეთში სერის უბნის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. სოფელ ჯოყოეთში წყლის მცირე ზომის ტუმბოს შესამენა. სოფელ უსახელოში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს მთავრობის 2017 წლის 06 აპრილის №693 განკარგულებით.

აგრეთვე დაგეგმილია სოფლებში წყლის სისტემების რეაბილიტაციისათვის მასალების შექმნა.

1.2.2. სანიაღვრე არხები (პროგრამული კოდი 03 02 02) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ.ჭიათურაში ცენტრალურ გზაზე მდებარე სანიაღვრე არხებისა და ცხაურების მოწყობა, 9 აპრილის ქუჩაზე №3 საჯარო სკოლის წინ, აბაშიძის, ჭავჭავაძის, აღნაშენებლის, 9 აპრილის, ბათუმის, თბილისისა და ტოლსტოის ქუჩებზე არსებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია, სოფელ უსახელოში ლაშხების, მაჭავარიანებისა და პაპიძეების უბანში სანიაღვრე არხის მშენებლობა. დაგეგმილია სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება ბათუმის, 9 აპრილის, აღნაშენებლის, თბილისის, ტოლსტოის, ჭავჭავაძის და აბაშიძის ქუჩებზე და ქალაქის დანარჩენ ტერიტორიაზე.



1.2.3. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ მდგომარეობისა თუ იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება, ზამთრის პერიოდში მოსული ნალექისაგან საგზაო ინფრასტრუქტურის გაწმენდა, გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრის“ დაფინანსება.

1.2.4. საყრდენი კედლის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ჭიათურის მთა-გორიანი მდებარეობის გამო მოსახლეთა ტერასული დასახლებიდან გამომდინარე საყრდენი კედლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საცხოვრებელი თუ ინფრასტრუქტურული ობიექტების შეკავებისათვის. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: საყრდენი კედლების რეაბილიტაციის პროექტირება (ხელშეკრულება გაფორმებულია);

ქ. ჭიათურაში კუპატაძის №1, №7-ში არსებული საყრდენი კედლის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია);

ქ. ჭიათურაში გოგებაშვილის ქუჩაზე სტიქიით შედეგად დაზიანებული საყრდენი კედლების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაძენად, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 ივნისის №1213 განკარგულებით;

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლების სხვადასხვა ლოკაციებზე;

ქ. ჭიათურაში აღმაშენებლის ქუჩაზე ე.წ. 25-ის დასახლებისაკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკზე დაახლოებით 30 გრძივი მეტრი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოებისათვის;

ქუთაისის ქუჩაზე მოქალაქე ემზარი შეყილაძის სახლის მიმდებარედ არსებულ საყრდენ კედელზე 24 გრძივი მეტრი მოაჯირის მოწყობის სამუშაოებისათვის; ბარათაშვილის ქუჩაზე №16-ის მიმდებარედ არსებულ საყრდენ კედელზე 46 გრძივი მეტრი მოაჯირის მოწყობის სამუშაოებისათვის;

ჩაჩანიძის ქუჩაზე №46 მიმდებარედ არსებულ საყრდენ კედელზე 50 გრძივი მეტრი მოაჯირის მოწყობის სამუშაოებისათვის; სოფელ წინსოფელში ელექტრო ქვესადგურში მიმავალ გზაზე დაახლოებით 50 გრძივი მეტრი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოებისათვის;

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება განხორციელდება აგრეთვე საბჭოს ქ. №13 - დიმიტრი ბიწაძის სახლთან; საბჭოს ქ. №5 - თამაზ ფხალაძის სახლთან; საბჭოს ქ. №24 - თან საყრდენი კედლის მოწყობა; საბჭოს ქ. №5 - რამაზ ფხალაძის სახლთან; საბჭოს ქ. №9 - ნუნუ თაბაგარის სახლთან; ერისთავის ქ. №23 - ილია მუმლაძის სახლთან; ერისთავის ქ. №29 - დავით გაფრინდაშვილის სახლთან; ერისთავის ქ. №11-13 - ლია საღირაშვილის სახლთან; ერისთავის ქუჩაზე მართმადიდებლური სკოლის მიმდებარედ; ერისთავის ქ. №35-ის მიმდებარედ; ერისთავის ქ. №31-წყაროსთან; ერისთავის ქ. №18 - რამაზ ციციძის სახლთან; ერისთავის III-შესახვევში №15-დან №29-მდე; ერისთავის III-შესახვევში №2 - ნანა ხვედელიძის სახლთან; ერისთავის III-შესახვევში №4 - იასონ ფხალაძის სახლთან; ჩაჩანიძის ქ. №4-ის მიმდებარედ; ჩაჩანიძის ქ. №27 - ნუგზარ გამყრელიძის სახლთან; ჩაჩანიძის ქ. №44 - არჩილ გოცაძის სახლთან; 9 აპრილის ქ. №86 - ინეზა ყიფშიძის სახლთან; 9 აპრილის ქ. №96 - რუსუდან სხირტლაძის სახლთან; ქუთაისის ქ. №7-თან; ქუთაისის ქ. №54 - სიმონ კვიციანიძის სახლთან; ქუთაისის ქ. №54 - თან საყრდენი კედლის მოწყობა; ქუთაისის I შესახვევში №7 - როსტომ ტაბატაძის სახლთან; ქუთაისის ქ. №3 - მაია ცუხიშვილის სახლთან; აბაშიძის ქ. №16 - თან; ცხოვრებაძის ქ. №14 - შმაგი ბიწაძის სახლთან; ცხოვრებაძის ქ. №58 - ზაზა ცერცვაძის სახლთან; კოსტავას ქ. №10 - დავით ხვედელიძის სახლთან; კოსტავას ქ. №5 - ჯანრი ცერცვაძის სახლთან; კოსტავას I შესახვევი №5 - ლულუნიშვილი დალის სახლთან; სავადმყოფოს ეზოს არსებულ პროექტზე საყრდენი კედლის გაგრძელება; აღმაშენებლის ქ. №241 - ციური ბიწაძის სახლთან; აღმაშენებლის ქ. №56 - მედეა ლულუნიშვილის სახლთან; აღმაშენებლის ქ. №249 - ამალია ბიწაძის სახლთან; აღმაშენებლის ქ. №22-გრიგოლ ლომიძის სახლთან; აღმაშენებლის ქ. №113 - ის მიმდებარედ; აღმაშენებლის ქ. №48 - ნიკოლოზ მეგრელიშვილის სახლთან; აღმაშენებლის ქ. №119 - გიორგი შავაძის სახლთან; აღმაშენებლის ქ. №249 - ამალია ბიწაძის სახლთან; აღმაშენებლის ქ. №190 - ასანიძე გიორგის სახლთან; აღმაშენებლის ქ. №87 - ალიკა ბიწაძის სახლთან; აღმაშენებლის ქ. №202 - მზია ბულაძის სახლთან; აღმაშენებლის ქ. №58 - თან საყრდენი კედლის მოწყობა;



აღმაშენებლის ქ. №83 - ალიკა ბიწაძის (ნონა ბიწაძე) სახლთან; ბათუმის ქ.№3 - ეკლესიასთან; წმინდა გიორგის ქ.№42 -მგალობლიშვილის სახლთან; წმინდა გიორგის ქუჩაზე მოდებადის სახლთან; წმინდა გიორგის ქ.№26 - გიორგი მუმლაძის სახლთან; წმინდა გიორგის ქ.№34 -ხვიჩა მოდებადის სახლთან; ჩაჩანიძის ქ.№4 - ხვიჩა მოდებადის სახლთან; თბილისის III ჩიხის №21 - დიანა კირვალიძის სახლთან; თბილისის ქუჩაზე - ნანა ნადირაძის სახლთან; თბილისის II შესახვევში №5 - მანანა ბუიშვილის სახლთან; თბილისის ქ.№6 -თან ჩასასვლელ გზასთან საყრდენი კედლის მოწყობა; ფრანგიშვილის ქუჩაზე - იანგუში ტყემალაძის სახლთან; ფრანგიშვილის ქ.№54 - შალვა შავიძის სახლთან; მუხადის ქ.№30 -ის მიმდებარედ; ბაქრაძის ქ.№28 - კუკური გველესიანის სახლთან; ინტერნაციონალის ქ.№6- ის მიმდებარედ; თავისუფლების ქ.№2 - შმაგი პაპიძის სახლთან; ტყაბლაძის I შესახვევში №9 - რიმა გურულის სახლთან; ტყაბლაძის ქ.№8 - ანდრო კვანტრიშვილის სახლთან; ტყაბლაძის I შესახვევში №3-შოთა კილურაძის სახლთან; ტოლსტოის ქ.№29-მალხაზ მუმლაძის სახლთან; ლეჟუბნის ქ.№22 - ნოდარ კვიციანიძის სახლთან; ბარათაშვილის ქ.№3 - სასაფლაოს კედელი; ჭავჭავაძის ჩიხი №1 - ნინო გამყრელიძის სახლთან; გაგარინის ქ.№41 - ნოდარ ბიწაძის სახლთან; 26 მაისის ქ.№16 - რამაზ ციციძის სახლთან; კეცხოველის ქ.№8 - პეტრე მოდებადის სახლთან; კეცხოველის ქ.№16 - ზურაბ მეგრელიშვილის სახლთან; ინტერნაციონალის ქუჩაზე ზაზა ფურცხვანიძის სახლთან; კუპატაძის ქ.№7 - აზა ტაბატაძის სახლთან; კუპატაძის ქ.№7 - რამაზ ხვედელიძის სახლის მიმდებარედ; ცხოვრებადის ქ.№33 -იგორ მანასიანის სახლთან; ცხოვრებადის ქ.№17 - კოტე ცუცქირიძის სახლთან; ბათუმის I შესახვევი ქ.№12 - იზოლდა გამეზარდაშვილის სახლთან; ტყაბლაძის ქ.№7 -ს მიმდებარე ტერიტორია; გოგებაშვილის ქ.№20-ის მიმდებარედ; თავისუფლების ქუჩა №12-ის პირველი შესახვევი შმაგი პაპიძის სახლის მიმდებარედ; მუძუნას გამოქვაბულთან ფერდობზე საყრდენი კედლის მოწყობა; სოფელი წირქვალი - რეზო ბრეგვაძის სახლთან; სოფელი სკინდორი - გოგოლია გელაშვილის სახლთან; სოფელი ჭილოვანი- ილია ტყემალაძის სახლთან; სოფელი მორძგეთი - მზია კაპანაძის სახლთან გაბიონის მოწყობა; სოფელი სალიეთი- ამირან მოდებადის სახლთან 12 მ² გაბიონის მოწყობა; სოფელი მორძგეთი - მდინარე ყვირილის მიმდებარედ 20 მ² გაბიონის მოწყობა; სოფელი სალიეთი - მუხრან მოდებადის სახლთან; სოფელი წინსოფელი - მალხაზ ხუციშვილის სახლთან; სოფელი მერევი - ასმათ ნეფარიძის სახლთან; სოფელი რგანი (№2 დასახლება) - ელგუჯა ხვედელიძის სახლთან; სოფელი ნავარძეთი - რეზო ბრეგვაძის სახლთან; სოფელი ცხრუკვეთი - გოჩა ბიწაძის სახლის მიმდებარედ; ჭანტურიას ქ.№14-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოებისათვის; ბარათაშვილის ქ.№3-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოებისათვის; აღმაშენებლის ქ.№210-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოებისათვის; სოფელ სვერში ღვალაძეების უბანში 60 გრძ. მ-ზე საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოებისათვის; სოფელ ითხვისში კობერიძეების უბანში 100 გრძ.მ-ზე საყრდენ კედელთან არსებულ სანიაღვრე არხის აღდგენის სამუშაოებისათვის; თბილისის ქ.№88- მუხრან ლაბაძის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოებისათვის;

აგრეთვე დაგეგმილია ქ.ჭიათურაში ნინოშვილის ქ.№16-ის უკან არსებული საყრდენი კედლის რეაბილიტაციისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და მდინარე „ყვირილას“ მარცხენა სანაპიროს რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება ტრესტის ხიდიდან ე.წ საგუბრამდე (პროექტი უნდა ითვალისწინებდეს კინო-თეატრის შენობის მიმდებარედ არსებული საცალფეხო ხიდიდან საგუბრამდე მდინარის კალაპოტის საყრდენი კედლის რეაბილიტაციას და სანაპირო ზოლის მოწყობას). აგრეთვე განხორციელდება საქართველოს მთავრობის სტიქიის შედეგად სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხიდან ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები: 9 აპრილის ქ.№105,107-ის მიმდებარედ, სოფელ მორძგეთში ნელი ღვალაძის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ, სოფელ მორძგეთში გიგლა ღვალაძის და დარეჯან ღვალაძის საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ, სოფელ სალიეთში გურამ მოდებადის სახლის მიმდებარედ, სოფელ სალიეთში მაია მოდებადის სახლის მიმდებარედ, სოფელ სალიეთში ზურაბ მოდებადის სახლის მიმდებარედ, სოფელ სალიეთში ნუნუ ჯოხაძის სახლის მიმდებარედ, სოფელ სალიეთში გიორგი მოდებადის სახლის მიმდებარედ, სოფელ ზედა ჭალოვანში სიმონ ჯაჯანიძის სახლის მიმდებარედ, ტოლსტოის ქუჩაზე პირველ შესახვევში, მღვიმევის ქ. №19-ის მიმდებარედ, გაგარინის ქ.№33-ის მიმდებარედ, თბილისის ქ.№3-ის მიმდებარედ, თბილისის ქ.№7-ის მიმდებარედ, ჩაჩანიძის ქ.№52-ის მიმდებარედ, ერისთავის ქ.№19-ის მიმდებარედ, წმინდა გიორგის ქ.№43-ის მიმდებარედ, ფრანგიშვილის ქ.№37-ის მიმდებარედ, ფრანგიშვილის ქ.№33-ის მიმდებარედ, აღმაშენებლის ქ.№124-ის მიმდებარედ, აღმაშენებლის ქ.№204-ის მიმდებარედ, აღმაშენებლის ქ.№43-ის მიმდებარედ, აღმაშენებლის ქ.№119-ის მიმდებარედ, თბილისის ქ.№41,43,45-ის მიმდებარედ; ერისთავის ქ.№22-ის მიმდებარედ, კოსტავას ქუჩაზე სავაჭრო ცენტრის თავზე, ბაქრაძის ქ.№24-ის მიმდებარედ, ტყაბლაძის ქ.№5-ის მიმდებარედ, ჩაჩანიძის ქუჩის დასაწყისში, თავისუფლების ქუჩაზე, გოგებაშვილის ქ.№6-ის მიმდებარედ, ნინოშვილის ქ.№6ა-ს მიმდებარედ, აღმაშენებლის



ქ.№225-ის მიმდებარედ, ნინოშვილის ქ.№6-ის მიმდებარედ, ბათუმის ქ.№4-ის მიმდებარედ, ქუთაისის ქ.№46-ის მიმდებარედ, წმინდა გერმანეს ქუჩაზე ამირან გველესიანის სახლის მიმდებარედ, ცხოვრებადის ქ.№27-ის მიმდებარედ, მღვიმევის ქუჩის მეორე შესახვევი №14-ის მიმდებარედ, ტყაბლაძის ქ.№7-ის მიმდებარედ, ტყაბლაძის ქ.№6-ის მიმდებარედ, ჩაჩანიძის ქ.№25-ის მიმდებარედ, თბილისის ქ.№98-ის მიმდებარედ, მდინარე ყვირილას მარჯვენა სანაპიროზე; ასევე მდინარე ყვირილას კალაპოტის მარცხენა სანაპიროს საყრდენი კედლის და მოაჯირის მოწყობა, გაბიონის მოწყობა ჭავჭავაძის ქ.№55-ის მიმდებარედ და გაბიონის მოწყობა საბჭოს ქუჩაზე მე-2 შესახვევის №10 სახლის მიმდებარედ;

1.2.5. მუნიციპალიტეტის ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 05)

ვინაიდან ქალაქ ჭიათურაში მრავლადაა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები და ისეთი გლობალური პრობლემა როგორცაა მათი სახურავის, ფასადისა და კორპუსებში არსებული ლიფტების აღდგენა ამ კორპუსებში მცხოვრები მოსახლეობასთვის შეუძლებელია, აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ეხმარება მათ პრობლემის მოგვარებაში.

1.2.5.1. საცხოვრებელი სახლებისათვის სახურავის აღდგენა, სახურავი მასალის შექმნა (პროგრამული კოდი 03 02 05 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მიზანს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებში საცხოვრებელი პირობების შენარჩუნება წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სახურავი მასალის შექმნა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისათვის. აგრეთვე გათვალისწინებულია სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების სახურავებისათვის მასალების შექმნა (ხელშეკრულება გაფორმებულია).

1.2.5.2. საცხოვრებელი სახლების ფასადების აღდგენა (პროგრამული კოდი 03 02 05 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ქ. ჭიათურაში გიორგაძის ქუჩაზე №2, 4, 7, 8 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია); ქ. ჭიათურაში გიორგაძის ქუჩაზე №1, 3, 5, 9 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია); ქ. ჭიათურაში საჩხერის გზატკეცილზე №5, 7, 9, 22, 24, 29 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია). ქ. ჭიათურაში გიორგაძის ქუჩა №6-ის გადამაგრება, ტაბიძის ქუჩა №3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, და 14-ში, თხელიძის ქ.№43, და №45-ში.

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელ კორპუსებზე; 9 აპრილის ქუჩაზე 11 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სამუშაოების განსახორციელებლად; ჭანტურია ქუჩაზე 10 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სამუშაოების განსახორციელებლად; ნაგუთის დასახლებაში 3 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სამუშაოების განსახორციელებლად; აღმაშენებლის ქ.№69-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სამუშაოების განსახორციელებლად; თბილისის ქ.№6-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სამუშაოების განსახორციელებლად; აღმაშენებლის ქუჩაზე 4 ოთხსართულიანი კორპუსის და 3 ცხრასართულიანი საცხოვრებელი კორპუსის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; იაშვილის ქუჩაზე №18 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადის სამუშაოების განსახორციელებლად. თორღვაშვილის ქ.№2 და №4 კორპუსების ფასადის სამუშაოების განსახორციელებლად. იაშვილის ქუჩაზე №23 კორპუსის ფასადის სამუშაოების განსახორციელებლად.

აგრეთვე გათვალისწინებულია საინჟინრო-საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯი.

1.2.5.3. გარე განათების აღდგენა, მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე-განათების ქსელის რეაბილიტაცია მოწყობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (მემორიალიდან კაცხის სვეტამდე; რკინიგზის გადასასვლელიდან სოფ. შუქრუთამდე; მღვიმევის მონასტერთან მისასვლელი კიბეების



გასწვრივ; ტოლსტოის ქ.№27-თან 2 სანათი; ტოლსტოის ქ.№2 მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ჩიხში 6 სანათი; ცხოვრებადის ქ.№58-დან №74-ის ჩათვლით; გრ. ტყაბლაძის ქ.№2-თან 2 სანათი; რუსთაველის ქ.№30-ის მიმდებარედ კიბეების განათება; ჭავჭავაძის ქ. №57-ის მიმდებარედ 2 სანათი; ნუცუბიძის ქუჩაზე კიბეების განათება 2 სანათი; აღმაშენებლის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩაზე დამაკავშირებელი ჩიხის განათება; გოგებაშვილის ქ.№2-ის მიმდებარედ 2 სანათი; თხელიძის ქ.№9-ის მიმდებარედ 2 სანათი).

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქალაქის ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის განვითარება;
- მაწანწალა ცხოველების რაოდენობის შემცირება;
- დაზიანებული საყრდენი კედლების შემცირება;
- რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსები;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქალაქის გაუმჯობესებული სანიტარული პირობებით უზრუნველყოფა;
- შემცირებული მაწანწალა ცხოველების რაოდენობა;
- მოსახლეობის დაცვა სტიქიისაგან;
- რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსების რაოდენობა;

1.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

ქალაქის გამწვანება და მოსახლეობის კულტურულ დასვენებაზე ზრუნვა, როგორც ფეხით მოსიარულეთა, აგრეთვე ტრანსპორტის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რის გამოც იგეგმება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობა და გამწვანება, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და კიბეების მოწყობა-რეაბილიტაცია, კლდეებზე არსებული, ავარიულად საშიში, მოძრული ქვების ჩამოწმენდა.

1.3.1. მწვანე ნარგავების განაშენიანება, სკვერების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ჭიათურის ტერიტორიაზე მრავალწლიანი დეკორატიული მცენარეების გაშენება; ქ.ჭიათურაში სახელმწიფო დრამატული თეატრის წინ სკვერის მოწყობის სამუშაოები (ხელშეკრულება გაფორმებულია); ქ. ჭიათურაში არსებული სკვერებისათვის ძელსკამების შექმნა (ხელშეკრულება გაფორმებულია); ქ. ჭიათურაში აღმაშენებლის ქუჩაზე სკვერის მოწყობა (ხელშეკრულება გაფორმებულია); ქ. ჭიათურაში იაშვილის ქუჩაზე სკვერის მოწყობა (ხელშეკრულება გაფორმებულია); ქ. ჭიათურაში ტაბიძის ქუჩის სკვერის, სოფელ წინსოფლის მემორიალის, ნაგუთის მემორიალისა და ნაგუთში ეკლესიის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაციის პროექტირება (ხელშეკრულება გაფორმებულია). ქ. ჭიათურაში ნინოშვილის ქ.№8 და №12 შორის არსებული სკვერის მოწყობა. აგრეთვე დაგეგმილია სკვერებსა და ეზოებში განსათავსებელი ფანჩატურების, გიორგამისა და ფანცულაის ქუჩაზე სკვერის მოწყობის, მღვიმევის მონასტერში ასასვლელი კიბეების მოაჯირის მოწყობის, და კიბეების მოწყობა ტოლსტოის ქუჩიდან თბილისის ქუჩამდე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. აგრეთვე დაგეგმილია სკვერის რეაბილიტაცია ბარათაშვილის ქ.№40-თან, სკვერის მოწყობა ბარათაშვილის ქუჩაზე ძველი საბაგრო სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე და ტაბიძის ქუჩაზე. აგრეთვე განხორციელდება ქალაქ ჭიათურის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში სათამაშო ატრაქციონების მოწყობა, ძელსკამების შექმნა-განთავსება და ნინოშვილის ქუჩაზე სიგულდას სკვერიდან მდინარე ყვირილას გასწვრის (სამეურნეო მაღაზიამდე) სკვერის მოწყობა .

1.3.2. ფეხით მოსიარულეთათვის გადასასვლელების, კიბეების, მოედნის მოწყობა, რეაბილიტაცია და სხვა (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ.ჭიათურაში მაღაროელთა მოედნიდან ჭავჭავაძის ქუჩაზე მიწისქვეშა გადასასვლელისა და ე.წ. 25-ის საბაგროს მიმდებარე ტერიტორიის



კეთილმოწყობის საპროექტო სამუშაოები (ხელშეკრულება გაფორმებულია). აგრეთვე დაგეგმილია ნინოშვილის ქუჩიდან ქუთაისის ქუჩაზე ასასვლელი კიბეებისა და მოაჯირის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; ცუცქირიძის ქუჩიდან ჩაჩანიძის ქუჩის გადაკვეთაზე არსებული კიბეებისა და მოაჯირების 52 გრძივი მეტრის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; ტოლსტოის ქუჩიდან თბილისის ქუჩაზე ასასვლელი კიბეებისა და მოაჯირების 40 გრძივი მეტრის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; ტოლსტოის ქუჩიდან აღმაშენებლის ქუჩაზე ასასვლელი კიბეებისა და მოაჯირების 40 გრძივი მეტრის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; ერისთავისა და აღმაშენებლის ქუჩებს შორის არსებული კიბეებისა და მოაჯირების 40 გრძივი მეტრის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; ჩაჩანიძის ქ.№46-ში მდებარე კორპუსში უსინათლოების ბინის შესასვლელში კიბეებისა და მოაჯირის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. საბჭოს ქუჩაზე კიბეების მოწყობა, მშენებლობის ტრესტიდან თეატრის მიმართულებით მიწისქვეშა გადასასვლელის მოწყობა, ნინოშვილის ქუჩაზე ე.წ. 25-ის საბაგირო სადგურის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია და სოფელ მორბევეთში მატარებლის სადგურამდე ფეხით მისასვლელი ბილიკის მოწყობა.

1.3.3. ქვათაცვენის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კლდეებზე არსებული, ავარიულად საშიში, მოძრული ქვების ჩამოწმენდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქალაქის სკვერებისა და პარკების იერსახის გაუმჯობესება;
- ქალაქის მწვანე ნაწილის გაფართოვება.
- ქვათაცვენისაგან ავარიულად უსაფრთხო გადაადგილება;
- ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დამსვენებელთა ზრდა პარკებსა და სკვერებში;
- ეკოლოგიურად ჯანსარი ქალაქი;
- ქვათაცვენისაგან ავარიულად უსაფრთხო ქალაქი;
- ფეხით მოსიარულეთა კმაყოფილების დონე;

1.3.4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოფელ წყალშავში სარიტუალო დარბაზისთვის სამშენებლო მასალების შექმნა და სოფლების ქვაციხის, საკურწის და ბილის საერთო საბავშვო ბაღის მშენებლობა.

აგრეთვე დაგეგმილია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულებით გამოყოფილი თანხით სოფლის კრებებზე გადაწყვეტილი პროექტების დაფინანსება და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით თანადაფინანსება.

2.0. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

2.1. სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე



მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

პროგრამის აღწერა

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის გაერთიანებული საბავშვო ბაღი, რომელიც აერთიანებს 32 საბავშვო ბაღს, სადაც განათლებას იღებს 1600-დე ბავშვს. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და სხვა მიმდინარე ხარჯებს.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“;

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბაღების მოწყობა იმ სოფლებში, სადაც დღეისათვის არ არსებობს საბავშვო ბაღები.

2.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2018 ლის 29 ოქტომბრის №1994 განკარგულებით ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჭევში საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. აგრეთვე დაგეგმილია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება; ასევე განხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა სკოლებში ტრანსპორტირება.

2.3. საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების (რომელიც განთავსდება აღნიშნულ სოფლებში არსებულ სკოლებში) მოწყობის საპროექტო და სარემონტო სამუშაოები შემდეგ სოფლებში: ხვაშითი, ქვედა ჭალოვანი, ხალიფაური, წირქვალი, ქვაცხე, რცხილათი, სკინდორი, ნავარძეთი, კაცხი, ცხრუკვეთი, ბერეთისა, მერევი, გეზრული, მანდაეთი, ტყემლოვანა; განხორციელდება სოფელ ითხვისში საბავშვო ბაღის ახალი შენობის და სოფელ პერევისაში ადმინისტრაციულ შენობაში ბაღის მოწყობის საპროექტო-სარემონტო სამუშაოები. აგრეთვე სოფელ დარკვეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია). №6 ბაღის სრული რეაბილიტაცია; სოფელ კაცხის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია; სოფელ ეწერის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია, სოფელ მანდაეთის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია; სოფელ რგანის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია; №11 ბაღის სრული რეაბილიტაცია; სოფელ უსახელოს საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია; სოფელ მღვიმევის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია; კოსტავას ქუჩაზე შშმ პირების ყოფილ სარეაბილიტაციო ცენტრში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;
- ბავშვების ფიზიკური და სულიერი აღზრდა შემდგომში მათი სწორი განვითარების მიზნით;
- გაზრდილი სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღები;
- ბავშვთა მაღალი აკადემიური მოსწრება;
- აღსაზრდელთა გაზრდილი რაოდენობა;

3.0. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)



მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; რეაბილიტაცია ჩაუტარდება სახელოვნებო, სამუსიკო და სპორტულ სკოლებს.

3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ორგანიზება.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სკოლების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და მოეწყობა სპორტით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა.

3.1.1. სპორტული სკოლები (პროგრამის კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- ა) ა(ა)იპ №27 კომპლექსური სპორტული სკოლა;
- ბ) ა(ა)იპ რაგბის სპორტული სკოლა;
- გ) ა(ა)იპ ბავშთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა

3.1.1.1. ა(ა)იპ №27 კომპლექსური სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ №27 კომპლექსური სასპორტო სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს ძიუდოს, კრივის, მინი ფეხბურთის, ტაეკვანდოს, მძლეოსნობის, ცურვის, მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის, ფარიკაობის, კლასიკური ჭიდაობის, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის და ჭადრაკის სპორტულ წრეებს, საკუთარი შემოსავალი განისაზღვრება აბონომენტებიდან და ბილეთებიდან (საცურაო აუზი), რომლითაც ძირითადად ფინანსდება ოფისის, სამედიცინო და სხვა ხარჯი.

3.1.1.2. ა(ა)იპ რაგბის სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება რაგბის სპორტული სკოლა, 2016 წლიდან სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული გუნდი, რომელიც მონაწილეობას იღებს საქართველოს ჩემპიონატში. ყველა ხარჯს აფინანსებს მუნიციპალიტეტი;



3.1.1.3. ა(ა)იპ ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა. ყველა ხარჯს აფინანსებს მუნიციპალიტეტი;

3.1.2. სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე 10 ერთეული ტრენაჟორის შეძენა-მონტაჟი. აგრეთვე დაგეგმილია ნაგუთის კულტურის სახლის საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; ტოლსტოის ქუჩაზე საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

სოფელ ზოდში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; სოფელ ნიგოზეთში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; საჭადრაკო კლუბის ოთახის რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; ტაბიძის ქუჩაზე არსებული საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; 2 ნომრის დასახლებაზე სპორტული მოედნის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად; სოფელ ბერეთისაში საჭიდაო დარბაზის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად; ტრენაჟორების მოწყობა 9 აპრილის, ცხოვრებაძის ქუჩებზე და საჩხერის გზატკეცილი №5-7-9-ის მიმდებარედ და ორი კომპლექტი სპორტული ტრენაჟორის შეძენა-მონტაჟი ჩაჩანიძის ქუჩაზე და აღმაშენებლის ქუჩის დასაწყისში. აგრეთვე განხორციელდება ტოლსტოის ქუჩაზე საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა;
- ნიჭიერი სპორტმენი ახალგაზრდების გამოვლინება;
- სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ცხოვრების ჯანსაღ წესში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა;
- გამართული სპორტული ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა;

3.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას.

პროგრამის აღწერა

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის და ხელოვნებით დაინტერესებულ ბავშვთა ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გაეწევა:

ა) სსიპ კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი;

ბ) ა(ა)იპ №1 მუსიკალური სკოლა;

გ) ა(ა)იპ №2 მუსიკალური სკოლა;



დ) ა(ა)იპ სახვითი ხელოვნების სკოლა;

ე) ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა;

3.2.1. სამუსიკო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ №1 სამუსიკო სკოლა და ა(ა)იპ №2 სამუსიკოსკოლა;

3.2.1.1. №1 სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ №1 სამუსიკო სკოლა, სადაც მუსიკალურ განთლებას იღებს დაახლოებით 328 ბავშვი. აქედან: სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვები 80 მოსწავლე, ლაურეატი 58 მოსწავლე, მრავალშვილიანი 32 მოსწავლე, ობოლი 18 მოსწავლე, ლტოლვილი 12 მოსწავლე და ესტრადისა და ფოლკლორის 44 მოსწავლე განთავისუფლებულნი არიან სწავლის ქირის გადასახადისგან. სწავლის გადასახადი ერთ ბავშვზე შეადგენს 15 ლარს თვეში. გადასახდს იხდის 84 მოსწავლე. სწავლის საფასური შეადგენს 15 ლარს. საკუთარი სახსრებით ნაწილობრივ ფინანსდება ხელფასი, ოფისის და სხვა ხარჯები. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯი.

3.2.1.2. №2 სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ №2 სამუსიკო სკოლა, სადაც მუსიკალურ განთლებას იღებს 192 ბავშვი. აქედან: სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვები 102 მოსწავლე, ლაურეატი 39 მოსწავლე, მრავალშვილიანი 10 მოსწავლე, ობოლი 4 მოსწავლე, ლტოლვილი 4 მოსწავლე. სწავლის გადასახადი ერთ ბავშვზე შეადგენს 15 ლარს თვეში. გადასახდს იხდის 33 მოსწავლე. სწავლის საფასური შეადგენს 15 ლარს. საკუთარი სახსრებით ნაწილობრივ ფინანსდება ხელფასი, ოფისის და სხვა ხარჯები. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯი.

3.2.1.3. ა(ა)იპ სახვითი ხელოვნების სკოლა (პროგრამული კოდი (05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სახვითი ხელოვნების სკოლა, სადაც სამხატვრო-სახელოვნებო განათლებას იღებს 35 ბავშვი.

3.2.1.4. ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს 33 ბიბლიოთეკას. განხორციელდება ნინოშვილის ქ. №17-ში მდებარე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის ტუალეტის მოწყობა.

3.2.1.5. სსიპ კულტურის შემოქმედებითი ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჭიათურის სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრი, რომელიც აერთიანებს სამუსიკო და საცეკვაო წრეებს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, მომღერალთა გუნდებს. ცენტრის საკუთარი სახსრებით ფინანსდება ხელფასი და ოფისის ხარჯები. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასის, ოფისის და სხვადასხვა მიმდინარე ხარჯი.

3.2.1.6. სსიპ ჭიათურის სახელმწიფო დრამატული თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე გრანტი მიეცემა ჭიათურის თეატრს თეატრის იუბილესთან დაკავშირებით მწერალ დათო ტურაშვილის პიესის პრეზენტაციისათვის. კომუნალური და სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებისათვის ასევე განხორციელდება საახალწლო ფესტივალის მოწყობა

3.2.1.7. კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კულტურის შემოქმედებითი ცენტრის რეაბილიტაცია და ჭიათურის მუნიციპალიტეტის სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი



ცენტრის ეზოში არსებული შადრევნის რეკონსტრუქციისათვის (ორმაგი ფუნქციის მინიჭება- შადრევანი და სცენა) საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. ცენტრალური საბიბლიოთეკო ქსელის N6-ის განყოფილების, ტაბიძის ქ. N12-ში მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად; სოფელ ცხრუკვეთში ბიბლიოთეკისა და ეზოს სარეაბილიტაციო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოსწავლე ახალგაზრდობის ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში;
- კულტურული ტრადიციების დაცვა და განვითარება;
- კულტურული ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსწავლე ახალგაზრდობის რაოდენობა;
- კულტურული ღონისძიებების ინტენსიურობის მაჩვენებელი;
- რეაბილიტირებული კულტურული ობიექტები;

3.3. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საქართველოს ღირსშესანიშნაობებისა და ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად მგზავრობის ხარჯები, ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებები, დასვენება გამაჯანსაღებელ ბანაკებში, წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოვება, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება, წარმატებულ სპორტსმენთა მწვრთნელების დაჯილდოვება, რეგიონალური და მუნიციპალურ ტურნირებში მონაწილე გუნდების და ინდივიდუალურად გამარჯვებული სპორტსმენების დაჯილდოვება, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოვება, ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მოტივირება უკეთესი მომავლისათვის.

3.4. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

ჭიათურის მუნიციპალიტეტისათვის ერთერთი პრიორიტეტული ამოცანაა მოქალაქეებში რელიგიური მრწამსისა და კულტურის ამაღლება, სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ადამიანებისათვის საკუთარი რწმენისა და აღმსარებლობის აღსრულებისათვის ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- რელიგიური საგანმანათლებლო ორგანიზაციის და მოსახლეობაში მრწამსის ამაღლების ხელშეწყობა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რელიგიური განათლების სწორად ჩამოყალიბება.

3.5. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის აღწერა

სხვადასხვა სახალხო თუ სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ინტერესს წარმოადგენს, რომელიც ხელშეწყობს ტრადიციების დაცვას. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სახალხო და სადღესასწაულო დღეებში საკონცერტო სანახაობისა თუ სხვა ღონისძიებების ჩატარებას. აგრეთვე ჩატარდება სამხატვრო ფესტივალი. დაფინანსდება გაეწევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის „ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშობების; ისინდი, ცხენბურთი, ყაბახი, მარულა“-ს განვითარებისათვის ოთხ წლიანი პროგრამას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებული ღონისძიებებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა;

4.0. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

4.1. ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 00)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, აღნიშნულ ფარგლებში დაფინანსდება

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური, კერძოდ:

ა) არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

ბ) დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;



გ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

დ) სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;

ე) ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მომხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

ვ) მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

4.1.1. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (06 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჭიათურის მუნიციპალური სამსახურის“ დაფინანსებას და C გეპატიტის და სხვადასხვა დაავადებათა სკრინინგ პროგრამის დაფინანსებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფექციებისა და სხვადასხვა დაავადებათა ლიკვიდაცია და პრევენცია;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფექციებისა და სხვადასხვა დაავადებათა დონე;

4.2. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

ვითვალისწინებთ რა მუნიციპალიტეტში შექმნილ მძიმე სოციალურ ფონს, გაჭირვებული და მცირე შემოსავლის მქონე მოსახლეობის დაცვის მიზნით მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მათთვის სოციალური დახმარებების გაწევას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის აღწერა

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება შემდეგი სოციალური პროგრამები:

ა) ავადმყოფთა სოციალური დაცვა, მათ შორის:

ა.ა) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება (დაახლოებით 900-1000 ბენეფიციარი);

ა.ბ) ჰემოდიალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება (დაახლოებით 35 ბენეფიციარი);

ა.გ) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (დაახლოებით 620 ბენეფიციარი);



- ა.დ) სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადებების მქონე პირთა დახმარება (დაახლოებით 350 ბენეფიციარი);
- ა.ე) რადიაქტიული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა დახმარება (დაახლოებით 16 ბენეფიციარი);
- ბ) ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურება;
- გ) უმწეო და მიუსაფარ ადამიანთა უფასო სასადილოთი მომსახურება (დაახლოებით 130 ბენეფიციარი);
- დ) მოსახლეობის სოციალური დაცვა, მათ შორის:
 - დ.ა) ხანდაზმულთა დახმარება (დაახლოებით 28 ბენეფიციარი);
 - დ.ბ) დევნილთა სოციალური დაცვა (დაახლოებით 105 ბენეფიციარი);
 - დ.გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დარუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება (დაახლოებით 30 ბენეფიციარი).
 - დ.დ) მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება (დაახლოებით 120 ბენეფიციარი);
 - ე) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა, მათ შორის:
 - ე.ა) ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა (დაახლოებით 500 ბენეფიციარი);
 - ე.ბ) მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა (დაახლოებით 210 ბენეფიციარი);
 - ე.გ) შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა (დაახლოებით 1200 ბენეფიციარი);
 - ე.დ) მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრედ ოჯახთა დახმარება (14 ბენეფიციარი);
 - ვ) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დახმარება (დაახლოებით 20-30 ბენეფიციარი);
 - ზ) ომის ვეტერანთა დახმარება (დაახლოებით 335 ბენეფიციარი);

4.2.1. ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება:

- ა) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება;
- ბ) პროგრამულ ჰემოდიალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება;
- გ) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება;
- დ) სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადების მქონე პირთა ფინანსური დახმარება;
- ე) რადიაქტიული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება;

4.2.1.1. სამკურნალო-საოპერაციო და სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური გამოკვლევების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 01 01).

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- ა) გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომელთა



ფინანსურ უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს მოქმედი საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები და კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების მოქმედი პროგრამები. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;

